

შპს „პსპ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის
ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე	3
---	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მომზადების საფუძველი	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები	13
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	14
5. ამონაგები და გაყიდვების თვითღირებულება.....	21
6. გაყიდვების ხარჯი	22
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	23
8. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი.....	23
9. ძირითადი საშუალებები	24
10. საინვესტიციო ქონება.....	25
11. იჯარა.....	26
12. ინვესტიციები	27
13. მარაგები.....	28
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	28
15. ფული და ფულის ეკვივალენტები	29
16. მიღებული სესხები	29
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	30
18. გადავადებული შემოსავალი	30
19. პირობითი ვალდებულებები	31
20. დაკავშირებული მხარეები	32
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	32
22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	33

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება	46
--	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პსპ ფარმას“ ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს,

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „პსპ ფარმას“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის და ფულადი სახსრების კონსოლიდირებული მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გეჰონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვვალდება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვვრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეყრდნობოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2022 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2022 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2 ოქტომბერი 2023

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პსპ ფარმას“ ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს,

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „პსპ ფარმას“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის და ფულადი სახსრების კონსოლიდირებული მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ ჯგუფისგან რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გეჭონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვსდის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებითი შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგენსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2022 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2022 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2 ოქტომბერი 2023

შპს „პსპ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	5	744,758	745,080
გაყიდვების თვითღირებულება*	5	(578,158)	(581,435)
საერთო მოგება		166,600	163,645
სხვა შემოსავალი		2,176	2,644
გაყიდვების ხარჯი	6	(114,342)	(89,736)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები*	7	(23,819)	(23,111)
საოპერაციო მოგება		30,615	53,442
ფინანსური ხარჯი	8	(9,957)	(9,463)
ფინანსური შემოსავალი	8	19,089	9,881
საკუროს სხვაობიდან მიღებული მოგება		6,398	6,508
სხვა ინვესტიციის რეალური ღირებულების ცვლილება	12	4,082	-
მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხულ ინვესტიციებში	12	1,179	1,445
წლის სრული შემოსავალი		51,406	61,813

* გგუფის ხელმძღვანელობამ გააკეთა რეკლასიფიკაცია ფინანსურ ანგარიშგებებში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ახალი პრეზენტაცია უფრო სამართლიანად ასახავს ფინანსური ანგარიშგების მუხლებს.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 2 ოქტომბერი შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

3. მ. მ. მ. 3. ოქრიაშვილი

ფინანსური დირექტორი

2. ბოჭორაძე 2. ბოჭორაძე

11 - 45 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პსპ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	5	744,758	745,080
გაყიდვების თვითღირებულება*	5	(578,158)	(581,435)
საერთო მოგება		166,600	163,645
სხვა შემოსავალი		2,176	2,644
გაყიდვების ხარჯი	6	(114,342)	(89,736)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები*	7	(23,819)	(23,111)
საოპერაციო მოგება		30,615	53,442
ფინანსური ხარჯი	8	(9,957)	(9,463)
ფინანსური შემოსავალი	8	19,089	9,881
საკუროსო სხვაობიდან მიღებული მოგება		6,398	6,508
სხვა ინვესტიციის რეალური ღირებულების ცვლილება	12	4,082	-
მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხულ ინვესტიციებში	12	1,179	1,445
წლის სრული შემოსავალი		51,406	61,813

* ჯგუფის ხელმძღვანელობამ გააკეთა რეკლასიფიკაცია ფინანსურ ანგარიშგებებში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ახალი პრეზენტაცია უფრო სამართლიანად ასახავს ფინანსური ანგარიშგების მუხლებს.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 2 ოქტომბერი შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი	_____	ვ. ოქრიაშვილი
ფინანსური დირექტორი	_____	მ. ბოჭორაძე

შპს „პსპ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	153,290	147,921
საინვესტიციო ქონება	10	11,612	11,923
აქტივის გამოყენების უფლება	11	90,281	97,964
არამატერიალური აქტივები		2,765	1,703
კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები	12	7,448	6,934
სხვა ინვესტიციები	12	11,184	7,102
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსი		548	604
		277,128	274,151
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	13	261,030	204,420
გაცემული სესხები		473	564
საგადასახადო აქტივი		2,285	801
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	46,091	55,481
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	49,886	46,304
		359,765	307,570
სულ აქტივები		636,893	581,721
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		86	86
გაუნაწილებელი მოგება		305,102	292,306
სულ კაპიტალი		305,188	292,392
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	16	11,536	12,612
საიჯარო ვალდებულება	11	84,201	100,858
		95,737	113,470
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	196,850	142,408
მიღებული სესხები	16	4,454	3,650
საიჯარო ვალდებულება	11	13,012	12,689
საგადასახადო ვალდებულება		618	709
გადავადებული შემოსავალი	18	21,034	16,403
		235,968	175,859
სულ ვალდებულებები		331,705	289,329
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		636,893	581,721

11 - 45 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პსკ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	86	236,945	237,031
წლის სრული შემოსავალი	-	61,813	61,813
გამოცხადებული დივიდენდი	-	(6,452)	(6,452)
2021 წლის 31 დეკემბერი	86	292,306	292,392
წლის სრული შემოსავალი	-	51,406	51,406
გამოცხადებული დივიდენდი	-	(38,610)	(38,610)
2022 წლის 31 დეკემბერი	86	305,102	305,188

11 - 45 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პსპ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მედიკამენტების საბითუმო და საცალო რეალიზაცია		659,268	640,111
სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები		62,987	62,123
მარაგების მომწოდებლებზე გადახდილი თანხა		(486,572)	(486,340)
გადახდილი ხელფასები		(75,518)	(67,465)
გადახდილი გადასახადები		(41,365)	(36,834)
სხვა გადახდები		(40,480)	(32,044)
გადახდილი დაგროვებითი პენსია		(3,211)	(2,417)
მოკლევადიან იჯარაზე გადახდილი თანხები		(1,410)	(1,502)
სხვა შემოსულობანი		3,378	2,546
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		77,077	78,178
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი		(38,610)	(6,452)
მიღებულ სესხზე გადახდილი პროცენტი	16	(1,221)	(1,329)
საიჯარო ვალდებულებაზე გადახდილი პროცენტი	11	(8,427)	(8,203)
მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული პროცენტი		2,663	778
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		31,482	62,972
ფულადი ნაკადები			
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(15,052)	(13,986)
მიღებული დივიდენდი		665	1,350
სესხის გაცემა		-	(248)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(14,387)	(12,884)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების დაფარვა	16	(17,539)	(4,742)
სესხების მიღება	16	19,417	2,964
საიჯარო ვალდებულების ძირის დაფარვა	11	(11,598)	(10,775)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(9,720)	(12,553)
ფული და ფულის ეკვივალენტების ზრდა		7,375	37,535
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	15	46,304	9,476
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(3,793)	(707)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	15	49,886	46,304

11 - 45 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პსკ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „პსკ ფარმა“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 1994 წელს. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ფარმაცევტული პროდუქტებისა და პირადი ჰიგიენის ნივთების საცალო და საბითუმო ვაჭრობა. შპს „პსკ ფარმა“-ს შვილობილი კომპანიების მთავარი საქმიანობა მოიცავს სამედიცინო მომსახურების მიწოდებას.

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ საწარმოს და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ საწარმოებს და კაპიტალ-მეთოდით აღრიცხავს ინვესტიციას ერთობლივ საწარმოში:

დასახელება	საქმიანობის ქვეყანა	წილის ფლობა		საოპერაციო საქმიანობა
		2022	2021	
შპს ნიუ ჰოსპიტალს	საქართველო	100%	100%	სამედიცინო მომსახურება
შპს თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი	საქართველო	100%	100%	უძრავი ქონება
შპს მედეკაპიტალი	საქართველო	50%	50%	სამედიცინო მომსახურება

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 95%-იანი წილის მფლობელია კახაბერ ოქრიაშვილი, ხოლო წილის მმართველია ვაჟა ოქრიაშვილი. კომპანიის 5%-იანი წილის მფლობელია თენგიზ ჯამელაშვილი.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N 148.

კომპანიის გენერალური დირექტორია ბატონი ვაჟა ოქრიაშვილი.

2. მომზადების საფუძველი

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განავითარონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ათას ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია 22-ე განმარტებით შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ახალი ფას-ების მიღება

ა) 2021 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

ფას სტანდარტების წლიური გაუმჯობესება: 2018-2020 ციკლი. 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოაქვეყნა შემდეგი სტანდარტების მცირე შესწორებები: ფას 1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფას 9 ფინანსური ინსტრუმენტები, ბას 41 სოფლის მეურნეობა და ფას 16 იჯარის საილუსტრაციო მაგალითები.

კონცეპტუალური მიდგომა (შესწორება - ფას 3). 2020 წლის მაისში, IASB-იმ გამოაქვეყნა ფას 3-ის კორექტირება, რომელიც განაახლებს მითითებას ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე ისე, რომ მნიშვნელოვნად არ ცვლის სტანდარტის მოთხოვნებს საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით.

შესწორება შეეხება გამონაკლისის საწარმოთა გაერთიანებისას ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების აღიარების ძირითადი მიდგომიდან და ხვდება ბას 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივების და ფას 12 მომსახურებაზე კონცენსიური შეთანხმებების მოქმედების სფეროში.

ბას 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები (შესწორება - წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება). 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოსცა ბას 37-ის შესწორება, 68ა პარაგრაფის დამატებით რომელიც აკონკრეტებს ხარჯებს, რომელიც გაითვალისწინება ხელშეკრულების შესრულების ღირებულების განსაზღვრისას, რათა შეფასდეს ხელშეკრულება არის თუ არა წაგებიანი. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული შესწორება გამოიწვევს მეტი ხელშეკრულების აღრიცხვას წაგებიან ხელშეკრულებად, რადგან იზრდება იმ ხარჯების არეალი, რომელთა გათვალისწინებაც უნდა მოხდეს წაგებიანი ხელშეკრულების შეფასებაში.

ბას 16 ძირითადი საშუალებები (შესწორება - შემოსავალი აქტივის მიზნობრივ გამოყენებამდე). 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოსცა ბას 16-ის შესწორება, რომელიც კრძალავს საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან გამოქვითოს ამავე აქტივით წარმოებული საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, სანამ საწარმო მოცემულ აქტივს ამზადებს მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის. ნაცვლად იმისა რომ მოხდეს აღნიშნულის აქტივის ღირებულებასთან დანეტება, საწარმომ უნდა აღიაროს ასეთ გაყიდვებთან დაკავშირებული შემოსავალი და ხარჯები მოგებასა და ზარალში.

ბ) 2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შემავალი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბას 1 და ფას 1 პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბას 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას, იმის შესახებ თუ როდის შეიძლება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფას 1 პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფას 1 პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

გადავადებული გადასახადი დაკავშირებული ერთი ტრანზაქციიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან (ბას 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბას 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა პირველადი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფას 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად ბას 12.5-ს დამატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გათავისუფლება არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოქვითვად დროებით სხვაობებს.

გ) 2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შემავალი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფას 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფას 16-ის ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება უკუიჯარის პირობით გაყიდვა ცვლად გადასახდელებთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება.

შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადასახდელები“ ან „გადახდილი საიჯარო გადასახდელები“, რომ არ აღიაროს გამყიდველ-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (შესწორება - ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად, კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენტანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში.

შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს თუ უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, იმ შემთხვევაში თუ საწარმო ვალდებულია შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, თუ საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება ასევე განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით

COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარიდან.

ჯგუფის შეფასებით ცვლილებებს არ აქვს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფს არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. ისინი შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად გადაიხედება. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) ფინანსური აქტივების გაუფასურება - ჯგუფი ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ვასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარიცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ჯგუფს შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი საანგარიშგებო წლისთვის. ზემოაღნიშნული მიდგომა აქვს გამოყენებული ჯგუფის გაცემული სესხების გაუფასურების ანალიზისას. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და გაცემული სესხების გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-4 და 22-ე შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

გ) იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები - ჯგუფი იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა.

ჯგუფი იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს იჯარის გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. ჯგუფი ამგვარ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური საიჯარო გადახდები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დ) ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში სამართლიანი ღირებულების შეფასება - წილობრივ ინსტრუმენტებში არსებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა ფულადი სახსრების დისკონტირების ტექნიკის გამოყენებით, მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც სამართლიანი ღირებულების შეფასების მე-3 დონის იერარქია, შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობიდან გამომდინარე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ჯგუფი საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები, გაცემული სესხები.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური აქტივები		
გაცემული სესხები	473	564
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	39,225	50,654
ფული და ფულის ეკვივალენტები	49,886	46,304
	89,584	97,522
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	195,912	141,357
მიღებული სესხები	15,990	16,262
საიჯარო ვალდებულებები	97,213	113,547
	309,115	271,166

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა ჯგუფს და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას ჯგუფი განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, ჯგუფი რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება.

თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის.

ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

ჯგუფი ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, მიღებული სესხები, სხვა ინვესტიციები და საიჯარო ვალდებულებები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. ბანკებისგან მიღებული სესხები დადისკონტირებულია ჯგუფის საკუთარი საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც მიღებული აქვს ისინი. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმუმაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ჯგუფის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. ჯგუფის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

შპს „პსკ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022			31.12.2021		
	აშშ დოლარი	ევრო	რუსული რუბლი	აშშ დოლარი	ევრო	რუსული რუბლი
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	881	1,114	-	8,859	2,312	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,685	2,076	-	3,797	646	-
	2,566	3,190	-	12,656	2,958	-
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	94,529	51,236	675	53,432	33,019	615
მიღებული სესხები	-	12,391	-	-	14,939	-
საიჯარო ვალდებულებები	84,034	-	-	98,542	-	-
	178,563	63,627	675	151,974	47,958	615
წმინდა სავალუტო პოზიცია	(175,997)	(60,437)	(675)	(139,318)	(45,000)	(615)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონიერულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	ლარი/ დოლარი 20%	ლარი/ დოლარი -20%	ლარი/ ევრო 20%	ლარი/ ევრო -20%	ლარი/ რუბლი 20%	ლარი/ რუბლი -20%
მოგება/ზარალი	(35,199)	35,199	(12,087)	12,087	(135)	135

2021 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	ლარი/ დოლარი 20%	ლარი/ დოლარი -20%	ლარი/ ევრო 20%	ლარი/ ევრო -20%	ლარი/ რუბლი 20%	ლარი/ რუბლი -20%
მოგება/ზარალი	(27,864)	27,864	(9,000)	9,000	(123)	123

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი, რომელიც ეფუძნება სახელშეკრულებო დაუდისკონტირებელ დაფარვის ვალდებულებებს. ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარება მოთხოვნის შემთხვევაში დაფარვას, განიხილება ისე, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ გაიცა.

შპს „პსკ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	5,971	13,318	-	19,289
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	195,912	-	-	195,912
საიჯარო ვალდებულებები	20,967	83,013	21,724	125,704
	216,879	83,013	21,724	321,616

ლიკვიდურობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	5,928	17,828	-	23,756
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	141,357	-	-	141,357
საიჯარო ვალდებულებები	21,868	89,973	43,733	155,574
	169,153	107,801	43,733	320,687

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, გაცემული სესხებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან, (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს ვადაგადაცემის სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: დამფინანსებელი სახელმწიფოა, იურიდიული პირი თუ დაკავშირებული მხარე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს (გარდა ნაღდი ფულისა).

შპს „პსკ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	თანხა გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
მოთხოვნები სოციალური მომსახურების სააგენტოსთან	9,152	0%	-
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	3,911	0%	-
ინდივიდუალურად განხილული მოთხოვნები	7,749	0%	-
	20,812		-
მოთხოვნები ფიზიკურ პირების მიმართ სამედიცინო საქმიანობიდან			
მიმდინარე	7	100%	(7)
ვადაგადაცილება 0-30 დღე	4	100%	(4)
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	2,373		(2,373)
	2,384		(2,384)
ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნები			
მიმდინარე	11,768	0.05%	(6)
ვადაგადაცილება 0-30 დღე	442	4.98%	(22)
ვადაგადაცილება 31-90 დღე	4,428	5.37%	(238)
ვადაგადაცილება 91-180 დღე	1,913	17.56%	(336)
ვადაგადაცილება 181-360 დღე	929	50.05%	(465)
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	2,594	100.00%	(2,594)
	22,074		(3,661)
	45,270		(6,045)
მინუს: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(6,045)		
წმინდა მოთხოვნები	39,225		

შპს „პსკ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	თანხა გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
მოთხოვნები სოციალური მომსახურების სააგენტოსთან	7,526	0%	-
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	3,348	0%	-
ინდივიდუალურად განხილული მოთხოვნები	15,307	0%	-
	26,181		-
მოთხოვნები ფიზიკურ პირების მიმართ სამედიცინო საქმიანობიდან			
მიმდინარე	17	100%	(17)
ვადაგადაცილება 0-30 დღე	5	100%	(5)
ვადაგადაცილება 31-90 დღე	10	100%	(10)
ვადაგადაცილება 91-180 დღე	10	100%	(10)
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	2,160	100%	(2,160)
	2,202		(2,202)
ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნები			
მიმდინარე	12,848	0.16%	(20)
ვადაგადაცილება 0-30 დღე	1,102	5.63%	(62)
ვადაგადაცილება 31-90 დღე	9,596	5.42%	(520)
ვადაგადაცილება 91-180 დღე	1,587	17.01%	(270)
ვადაგადაცილება 181-360 დღე	447	52.57%	(235)
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	1,651	100%	(1,651)
	27,231		(2,758)
	55,614		(4,960)
მინუს: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(4,960)		
წმინდა მოთხოვნები	50,654		

ჯგუფი ახორციელებს ფინანსური აქტივების დარეზერვებას ფასს 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოთხოვნების შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 22-ე განმარტებითი შენიშვნა.

შპს „პსკ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

5. ამონაგები და გაყიდვების თვითღირებულება

ამონაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი:		
შემოსავალი მედიკამენტების საცალო რეალიზაციიდან	535,634	512,236
შემოსავალი მედიკამენტების საბითუმო რეალიზაციიდან	142,672	164,132
	678,306	676,368
მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი:		
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	61,139	64,215
შემოსავალი საპრომოციო-სარეკლამო საქმიანობიდან	2,898	2,452
სხვა	2,415	2,045
	66,452	68,712
სულ ამონაგები	744,758	745,080

რეალიზებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		
საცალოდ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(410,570)	(389,186)
საბითუმოდ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(110,779)	(134,434)
	(521,349)	(523,620)
გაწეული მომსახურების თვითღირებულება		
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(31,786)	(29,535)
მარაგის ხარჯი	(17,458)	(20,741)
ცვეთა და ამორტიზაცია	(4,926)	(4,833)
სხვა სამედიცინო მომსახურების თვითღირებულება	(2,639)	(2,706)
	(56,809)	(57,815)
	(578,158)	(581,435)

საცალო რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დაფინანსების წყაროების მიხედვით:

	2022	2021
ფიზიკური პირები	441,779	422,481
კერძო სადაზღვეო კომპანიები	43,086	41,204
საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა	30,687	29,347
სხვა სახელმწიფო ორგანოები	17,739	16,964
სხვა ორგანიზაციები	2,343	2,241
	535,634	512,236

შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან დაფინანსების წყაროების მიხედვით:

	2022	2021
თვითღირებით მოსული პაციენტები	28,505	27,318
სოციალური მომსახურების სააგენტო*	21,275	20,237
სხვა დამფინანსებლები	6,653	9,576
Covid-19-ის მართვასთან დაკავშირებული ორგანიზაციები**	584	2,908
სადაზღვეო კომპანიები	4,122	4,176
	61,139	64,215

*სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან წარმოდგენილია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან მიღებული შემოსავლით.

**მოიცავს PCR ტესტებიდან და კოვიდ პაციენტების მკურნალობიდან მიღებულ ამონაგებს.

შპს „პსპ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

5. ამონაგები და გაყიდვების თვითღირებულება (გაგრძელება)

საქონლის გაყიდვის ხელშეკრულებების მიხედვით, საქონელი იყიდება მომხმარებლებზე აფთიაქებში ან საბითუმოდ მიეწოდება მომხმარებელს შეთანხმებულ ადგილზე - კონტროლი შეიძლება გადაეცეს როგორც გაგზავნის ისე მიღების ადგილას, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ჯგუფის მიერ ნაკისრი ვალდებულება სრულდება საქონლის მომხმარებელზე გადაცემის დროს. შემოსავალი აღიარდება დროის იმ მომენტში როდესაც მომხმარებელს გადაეცემა კონტროლი საქონელზე.

შემოსავალი სამედიცინო მომსახურებების მიწოდებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში შესრულებული სამუშაოს გამოკვლევის მეთოდის გამოყენებით. ჯგუფი ძირითადად სამედიცინო შემოსავალს იღებს ამბულატორიული და სტაციონალური მომსახურების გაწევიდან.

საპრომოციო-სარეკლამო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს როგორც პროდუქციის სასურველ სივრცეში განთავსებიდან, ასევე შიდა საპრომოციო ღონისძიებების ჩატარებიდან მიღებულ შემოსავალს. მომსახურების ღირებულება შეთანხმებულია მომწოდებლის ხელშეკრულებაში. ეს მომსახურება ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ მომწოდებლებისთვის რომლებმაც გააფორმეს შესაბამისი ხელშეკრულება ჯგუფთან. ნაკისრი ვალდებულებები კმაყოფილება დროის განმავლობაში როდესაც მომწოდებელს მიეწოდება აღნიშნული მომსახურება.

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით, შემოსავლებთან დაკავშირებულ გარიგებებში იგი არის მარწმუნებელი, რადგან ჯგუფს აქვს აღებული შესასრულებელი ვალდებულება ყველა მსგავს გარიგებაში, აქვს კონტროლი ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე და ატარებს მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

ჯგუფმა გამოიყენა ფასის 15-ით გათვალისწინებული პრაქტიკული მიზანშეწონილობა და არ წარადგენს ინფორმაციას შეუსრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებაზე განაწილებული გარიგების ფასის აგრეგირებული თანხის შესახებ, რომლის შესაბამისი ხელშეკრულების თავდაპირველი ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

დამატებითი ინფორმაცია ამონაგების შესახებ მოცემულია 22-ე განმარტებით შენიშვნაში (22.4 პუნქტი).

6. გაყიდვების ხარჯი

გაყიდვების ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(52,663)	(43,728)
ცვეთა და ამორტიზაცია	(22,587)	(18,160)
სარეკლამო და საპრომოციო ხარჯი	(15,812)	(9,858)
აფთიაქების ექსპლუატაციის ხარჯი	(6,824)	(5,325)
კომუნალური გადასახადები	(4,915)	(4,199)
ბანკის საკომისიო	(3,977)	(1,379)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(3,661)	(2,632)
სხვა	(3,903)	(4,455)
	(114,342)	(89,736)

შპს „პსკ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(11,380)	(10,026)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(2,269)	(2,791)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(1,853)	(930)
პროფესიული მომსახურება*	(1,390)	(1,434)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,312)	(930)
ფინანსური აქტივების გაუფასურება	(1,085)	(1,589)
ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული ზარალი	(622)	-
მივლინება	(612)	(220)
მარაგების გაუფასურება	(515)	-
რემონტი და კეთილმოწყობა	(452)	(297)
კომუნალური გადასახადები	(219)	(295)
Covid-19-თან დაკავშირებული ხარჯი	(125)	(1,179)
სხვა	(1,985)	(3,420)
	(23,819)	(23,111)

*2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის აუდიტორულ კომპანიაზე გაწეული წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომსახურების ღირებულება შეადგენს 150 და 141 ათას ლარს, შესაბამისად.

8. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ფინანსური შემოსავალი		
საიჯარო ვალდებულების გადაფასება	14,029	6,686
მიღებულ სესხებთან დაკავშირებული კურსთაშორის სხვაობა	2,397	2,417
მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი	2,663	778
	19,089	9,881
ფინანსური ხარჯი		
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი	(8,434)	(8,203)
მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	(1,184)	(1,260)
გაცემულ სესხებთან დაკავშირებული კურსთაშორის სხვაობა	(339)	-
	(9,957)	(9,463)

შპს „პსკ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	სამედიცინო აღჭურვილობა	აღჭურვილობა და ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	19,087	87,269	40,090	32,905	8,427	2,677	353	8,227	199,035
შემოსვლა	-	1,408	2,799	6,717	2,491	914	-	168	14,497
გასვლა	-	-	(935)	(970)	(1,022)	(165)	(16)	-	(3,108)
2021 წლის 31 დეკემბერი	19,087	88,677	41,954	38,652	9,896	3,426	337	8,395	210,424
შემოსვლა	-	1,564	5,723	7,323	1,811	798	40	377	17,636
საინვესტიციო ქონებიდან გადმოტანა	-	319	-	-	-	-	-	-	319
გასვლა	-	-	(723)	(1,226)	(897)	(115)	-	(51)	(3,013)
2022 წლის 31 დეკემბერი	19,087	90,560	46,954	44,749	10,810	4,109	377	8,721	225,367
დაგროვილი ცვეთა									
2020 წლის 31 დეკემბერი	-	(7,760)	(23,788)	(15,145)	(3,178)	(1,109)	-	(3,065)	(54,045)
ცვეთა	-	(1,986)	(2,833)	(4,036)	(1,067)	(232)	-	(713)	(10,867)
გასვლა	-	53	783	875	623	75	-	-	2,409
2021 წლის 31 დეკემბერი	-	(9,693)	(25,838)	(18,306)	(3,622)	(1,266)	-	(3,778)	(62,503)
ცვეთა	-	(2,020)	(2,923)	(4,525)	(1,240)	(297)	-	(678)	(11,684)
საინვესტიციო ქონებიდან გადმოტანა	-	(38)	610	32	-	-	-	41	645
გასვლა	-	-	-	854	541	70	-	-	1,465
2022 წლის 31 დეკემბერი	-	(11,751)	(28,151)	(21,945)	(4,321)	(1,493)	-	(4,415)	(72,077)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2021 წლის 31 დეკემბერი	19,087	78,984	16,116	20,346	6,274	2,160	337	4,617	147,921
2022 წლის 31 დეკემბერი	19,087	78,809	18,803	22,804	6,489	2,616	377	4,305	153,290

ქართუ ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფაში ჩადებულია: შპს „ნიუ ჰოსპიტალს“-ის უძრავი ქონება, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, კრწანისის ქ. #12-ში. უზრუნველყოფაში ჩადებული ქონების საბალანსო ღირებულება 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეადგენს 59,695 (ათასი) და 60,339 (ათასი) ლარს, შესაბამისად;

შპს „პსკ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

10. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	10,785	1,356	12,141
2021 წლის 31 დეკემბერი	10,785	1,356	12,141
ძირითად საშუალებებზე გადატანა	-	(319)	(319)
2022 წლის 31 დეკემბერი	10,785	1,037	11,822
დაგროვილი ცვეთა			
2020 წლის 31 დეკემბერი	-	(180)	(180)
ცვეთა	-	(38)	(38)
2021 წლის 31 დეკემბერი	-	(218)	(218)
ცვეთა	-	(30)	(30)
ძირითად საშუალებებზე გადატანა	-	38	38
2022 წლის 31 დეკემბერი	-	(210)	(210)
საბალანსო ღირებულება			
2021 წლის 31 დეკემბერი	10,785	1,138	11,923
2022 წლის 31 დეკემბერი	10,785	827	11,612

საინვესტიციო აქტივები წარმოდგენილია იჯარით გაცემული კომერციული ფართებით, შესაბამისი მიწის ნაკვეთების ჩათვლით. სხვა საინვესტიციო ქონება მოიცავს შენობებს და მიწებს, რომლებიც არ არის იჯარით გაცემული, არამედ ჯგუფი ფლობს კაპიტალის გრძელვადიანი ზრდის მიზნით. ჯგუფის საინვესტიციო ქონებების ძირითადი აქტივები მდებარეობს თბილისში.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 14.6 მლნ. ლარს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებითად არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან.

შპს „პსკ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

11. იჯარა

ჯგუფის საიჯარო ხელშეკრულებები ძირითადად მოიცავს საოპერაციო საქმიანობისთვის განკუთვნილ სააფთიაქო და სასაწყობო ფართების იჯარას. იჯარების სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 1-5 წლიან პერიოდს. ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. საიჯარო გადასახდელები ნომინირებულია ლარში და აშშ დოლარში.

გამარტივებული მიდგომის სახით ჯგუფი პორტფელურად აღრიცხავს მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებებს, რადგან ვარაუდობს, რომ ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებით სტანდარტის გამოყენების გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითად განსხვავებული არ არის პორტფელის შემადგენელი ცალკეული ხელშეკრულების მიმართ მისი გამოყენების შედეგისგან. ხელშეკრულებების პორტფელის მიხედვით აღრიცხვისას, ჯგუფი იყენებს ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც ასახავს პორტფელის სიდიდესა და შემადგენლობას. ჯგუფის ხელმძღვანელობამ იჯარის ვადა გაგრძელების არჩევანის უფლების გამოყენების გათვალისწინებით შეაფასა 6 წლით.

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სააფთიაქო ფართები	სასაწყობო ფართები	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	82,722	2,686	85,408
შემოსვლა	13,478	-	13,478
ამორტიზაცია	(12,867)	(383)	(13,250)
იჯარის მოდიფიკაცია	12,079	249	12,328
2021 წლის 31 დეკემბერი	95,412	2,552	97,964
შემოსვლა	4,674	2,771	7,445
ამორტიზაცია	(16,081)	(887)	(16,968)
იჯარის მოდიფიკაცია	1,773	67	1,840
2022 წლის 31 დეკემბერი	85,778	4,503	90,281

საიჯარო ვალდებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სააფთიაქო ფართები	სასაწყობო ფართები	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	102,595	2,699	105,294
შემოსვლა	13,478	-	13,478
საპროცენტო ხარჯი	7,918	285	8,203
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(6,515)	(171)	(6,686)
გადახდა	(18,210)	(768)	(18,978)
იჯარის მოდიფიკაცია	11,987	249	12,236
2021 წლის 31 დეკემბერი	111,253	2,294	113,547
შემოსვლა	4,674	2,771	7,445
საპროცენტო ხარჯი	6,900	1,534	8,434
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(13,746)	(283)	(14,029)
გადახდა	(17,346)	(2,678)	(20,024)
იჯარის მოდიფიკაცია	1,773	67	1,840
2022 წლის 31 დეკემბერი	93,508	3,705	97,213

ფასს 16-ის მიხედვით, ჯგუფის უმეტესი იჯარის შემთხვევაში აღიარებს აქტივის გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას. სასაწყობო და სააფთიაქო ფართის გამოყენების უფლების იჯარისთვის აქტივების გამოყენების უფლება აღიარებულია საიჯარო ვალდებულებების ტოლი თანხით შესწორებული წინასწარი გადახდებით და დარიცხული ვალდებულებით. საიჯარო ვალდებულებები აღიარებულია მომავალი საიჯარო გადასახდელების ზღვრული სასესხო განაკვეთით დისკონტირებული ღირებულებით. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. დოლარში არსებულ საიჯარო ხელშეკრულებებზე ზღვრულ სასესხო განაკვეთად აღებულია წლიური 6.07%- 7.13% და ლარში არსებულ საიჯარო ხელშეკრულებებზე - 13.73%-14.91%.

შპს „პსკ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბრის

(ათას ლარში)

12. ინვესტიციები

ინვესტიციები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ერთობლივ საწარმოში არსებული ინვესტიციების და სხვა ინვესტიციების (ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში) სახით:

ინვესტირებული საწარმოს დასახელება	წილობრივი მონაწილეობა	31.12.2022	31.12.2021
შპს "მედეკაპიტალი"	50%	7,448	6,934
სს "ქართული ლუდის კომპანია"	12.39%	11,159	7,077
შპს "პულსარ დიჯიტალ"	12.25%	25	25
		18,632	14,036

კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ერთობლივი საწარმოს საბალანსო ღირებულების რეკონსილაცია:

	2022	2021
1 იანვარი	6,934	6,839
მოგების წილი ერთობლივ საწარმოში	1,179	1,445
გამოცხადებული დივიდენდი	(665)	(1,350)
31 დეკემბერი	7,448	6,934

ქვემოთ მოცემული ფინანსური ინფორმაცია წარმოადგენს თანხებს, ნაჩვენებს ერთობლივი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სულ აქტივები	სულ ვალდებულებები	შემოსავალი	მოგება
შპს "მედეკაპიტალი"	15,400	503	8,313	2,357
	15,400	503	8,313	2,357

ქვემოთ მოცემული ფინანსური ინფორმაცია წარმოადგენს თანხებს, ნაჩვენებს ერთობლივი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სულ აქტივები	სულ ვალდებულებები	შემოსავალი	მოგება
შპს "მედეკაპიტალი"	14,385	514	8,648	2,890
	14,385	514	8,648	2,890

სხვა ინვესტიციები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სს „ქართული ლუდის კომპანიაში“ შეძენილი აქციების სახით. აღნიშნული ინვესტიცია ჯგუფმა შეიძინა 2011 წელს და 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს 7,077 ათას აქციას. 1 აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი. ჯგუფის წილობრივი მოცულობა შეადგენს 12.39%-ს.

ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა შეაფასა სს ქართული ლუდის კომპანიაში არსებული ინვესტიციების რეალური ღირებულება, რომელმაც შეადგინა 11,159 ათასი ლარი.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია რეალური ღირებულებით აღრიცხული წილობრივი ინსტრუმენტებისთვის ცვლილებების მოგება-ზარალში ასახვით მოხდა რეალური ღირებულების შეფასების მე-3 იერარქიის საფუძველზე. ინვესტიციების შეფასებისას გამოყენებულია შემდეგი ძირითადი დაშვებები:

- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება მოხდა ქართულ ლარში ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული ხუთწლიან ფინანსურ ბიუჯეტზე დაყრდნობით გაანგარიშებული პროგნოზების საფუძველზე;
- შემდგომი ტერმინალური პერიოდი გამოყენებულია გაუფასურების ტესტირებისთვის მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისთვის;
- დისკონტირების პროცენტი (კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება - WACC) გადასახადების გამოკლებით განისაზღვრა 14.47%-ით, საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით;
- ტერმინალური პერიოდის ზრდის ტემპი განისაზღვრა ქართული ლარის გრძელვადიანი ინფლაციის მაჩვენებლით, 3%-ით;

შპს „პსკ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

13. მარაგები

მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
მედიკამენტები	193,336	141,189
კოსმეტიკა	25,458	15,233
ბავშვთა კვება და მოვლის საშუალებები	13,056	11,097
დამხმარე სამედიცინო მარაგები	12,760	9,822
მარაგები გზაში	5,570	6,065
ჰიგიენური საშუალებები	4,484	14,392
სხვა	6,366	6,622
	261,030	204,420

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მარაგები სრულად არის გასაყიდად გამიზნული გარდა სხვა კატეგორიაში არსებული 5,028 და 5,116 ათასი ლარის მოცულობის სამედიცინო მომსახურებისთვის საჭირო მარაგებისა.

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	45,259	55,343
სხვა მოთხოვნები	11	271
მინუს: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(6,045)	(4,960)
	39,225	50,654
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	7,265	4,827
მინუს: გადახდილი ავანსების გაუფასურება	(399)	-
	6,866	4,827
	46,091	55,481

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
1 იანვარი	(4,960)	(3,534)
უიმედო მოთხოვნების ჩამოწერა	-	163
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდა	(1,085)	(1,589)
31 დეკემბერი	(6,045)	(4,960)

ჯგუფი ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. იმისთვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი. გაუფასურების პოლიტიკის შესახებ დამატებით ინფორმაცია მოცემულია 22-ე განმარტებით შენიშვნაში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება უახლოვდება სამართლიან ღირებულებას მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

შპს „პსკ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	44,801	32,565
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,995	11,171
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,627	1,954
თანხა გზაში	463	614
	49,886	46,304

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია ფული და ფულის ეკვივალენტების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

16. მიღებული სესხები

მიღებული გრძელვადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31.12.2022	31.12.2021
სს ბანკი ქართუ	7%-7.5%	ევრო	11,536	12,612

მიღებული მოკლევადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31.12.2022	31.12.2021
სს ბანკი ქართუ	7%	ევრო	3,229	3,650
სს ბანკი ქართუ	3.5% + რეფ. განაკვეთი	ლარი	1,225	-
			4,454	3,650

მიღებული სესხების მოძრაობა 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	სულ
2022 წლის 1 იანვარი	12,612	3,650	16,262
მონეტარული ცვლილებები	5,417	(4,512)	905
არამონეტარული ცვლილებები			
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(2,073)	(321)	(2,394)
გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი	(4,420)	4,420	-
დარიცხული პროცენტი	-	1,217	1,217
2022 წლის 31 დეკემბერი	11,536	4,454	15,990

მიღებული სესხების მოძრაობა 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	სულ
2021 წლის 1 იანვარი	17,140	3,386	20,526
მონეტარული ცვლილებები	1,324	(4,431)	(3,107)
არამონეტარული ცვლილებები			
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(2,219)	(198)	(2,417)
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	(3,633)	3,633	-
დარიცხული პროცენტი	-	1,260	1,260
2021 წლის 31 დეკემბერი	12,612	3,650	16,262

მიღებული სესხების უზრუნველყოფის შესახებ იხილეთ მე-9 განმარტებითი შენიშვნა.

შპს „პსკ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

16. მიღებული სესხები (გაგრძელება)

სს „ქართუ ბანკთან“ გაფორმებული სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კოვენანტები. მათი დარღვევის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და იმავდროულად უაქცეპტო წესით ჩამოწეროს ბანკში გახსნილი ანგარიშებიდან ჯგუფის თანხები საკრედიტო დავალიანების დასაფარად ან/და სასამართლო წესით მოითხოვოს მსესხებლის დავალიანების დაფარვა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით ჯგუფი აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნულ კოვენანტებს.

მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	186,235	133,732
სახელფასო ვალდებულება	6,899	6,084
ვალდებულებები ძირითადი საშუალებების მომწოდებლებთან	1,382	306
სხვა ვალდებულება	1,396	1,235
	195,912	141,357
არაფინანსური ვალდებულებები		
სახელშეკრულებო ვალდებულებები	938	1,051
	938	1,051
	196,850	142,408

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება უახლოვდება სამართლიან ღირებულებას მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

18. გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
1 იანვარი	16,403	13,792
დამატება	12,409	8,173
გადავადებული შემოსავლის შემცირება*	(7,778)	(5,562)
31 დეკემბერი	21,034	16,403

ჯგუფს სააფთიაქო ქსელში რეალიზებულ პროდუქციაზე აქვს დაგროვების აქცია. პოლიტიკის მიხედვით მომხმარებელი ქულების სახით აგროვებს შეძენილი პროდუქციის ღირებულების 2%-ს. დაგროვების ბარათზე დაგროვებული ქულების გადაცვლა მომხმარებელს შეუძლია სასურველ პროდუქციაზე. ქულების განადგურების შემთხვევაში 10 ქულის ღირებულება შეადგენს 1 ლარს. ჯგუფი დაგროვებულ ქულებს აღიარებს როგორც ვალდებულებას ლოიალურობის პროგრამის ფარგლებში, რაც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გადავადებული შემოსავლის სახით, რომელსაც ამორტიზაცია უკეთდება განადგურების შემთხვევაში. გადავადებული შემოსავლის შემცირება ხდება მომხმარებლის მიერ ქულების გახარჯვისას, პსკ გათამაშების ბილეთებში ქულების გადაცვლის ან ვადაგასული ქულების ჩამოწერისას.

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

დივიდენდის განაწილება - იმ შემთხვევაში თუ ჯგუფი დამფუძნებლებზე გაანაწილებს 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებას არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა, ვინაიდან შეუძლია მისი სრულად ჩათვლა. იმ შემთხვევაში თუ ჯგუფის მშობელი კომპანია გაანაწილებს 2017 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე გაუნაწილებელ მოგებას მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა 31,338 (ათასი) ლარის ოდენობით.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონიტორინგი - ჯგუფის სამედიცინო საქმიანობა სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს. კერძოდ, სააგენტო პერიოდულად ახორციელებს ჯგუფის მიერ საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოსთან წარდგენილი შესრულებების დოკუმენტური სისრულის შემოწმებას. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაძლოა ჯგუფს დაეკისროს ფინანსური სანქციები.

სესხის ხელშეკრულების შეზღუდვები - შპს „ნიუ ჰოსპიტალს“ 2022 წელს ქართუ ბანკისგან მიღებული აქვს სესხები, რომელზეც დადგენილია ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები, რომლის დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს გამსესხებლის მხრიდან სესხის უპირობოდ დაფარვის უფლების გამოყენება (იხილეთ მე-16 განმარტებითი შენიშვნა).

შპს „პსკ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

20. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,893	46,091
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	71,886	196,850
საიჯარო ვალდებულებები	4,188	97,213

ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	44,166	142,408
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,357	55,481
საიჯარო ვალდებულებები	5,477	113,547

ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
ამონაგები	11,754	744,758
ფინანსური ხარჯი	(342)	(9,957)

ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
ამონაგები	4,763	745,080
ფინანსური ხარჯი	(398)	(9,463)

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება საანგარიშგებო წლებისთვის, რომელიც დასრულდა 2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 1,123 და 1,090 ათას ლარს, შესაბამისად.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

სესხის მიღება

საანგარიშგებო წლის შემდეგ ჯგუფმა გამოაცხადა და გაანაწილა დივიდენდი 14,666 ათასი ლარის ოდენობით.

ჯგუფმა გაყიდა სს ქართული ლუდის კომპანიაში არსებული 12.39%-იანი წილი 6,937 ათას აშშ დოლარად. ხელშეკრულების თანახმად გაყიდვის კომპენსაციის გადახდა უნდა მოხდეს 2024 წლის 16 სექტემბრამდე.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

22.1 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „პსკ ფარმას“ და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი.

როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

იმ შემთხვევაში თუ შვილობილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა განსხვავდება მფლობელი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკისგან, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის პოლიტიკასთან.

ჯგუფის კომპონენტებს შორის არსებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური მოთხოვნა, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირდება.

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი კომპანიის საქმიანობის წმინდა შედეგების და წმინდა კაპიტალის ნაწილი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს მშობელი კომპანია. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს. არამაკონტროლებელი წილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებულია ინვესტირებული საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილით.

22.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოპერაციებზე.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21–ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი“.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2022	31.12.2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ლარი/1 ევრო	2.8844	3.5040

22.3 ინვესტიციები ერთობლივ საწარმოში

ერთობლივი საწარმო გულისხმობს ორი ან მეტი მონაწილე მხარის ერთობლივად კონტროლირებადი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას, სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე. ერთობლივი კონტროლი წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილ ერთობლივ კონტროლს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სტრატეგიული ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება უკავშირდება საქმიანობას, რომელიც საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა (სრულუფლებიანი მონაწილე) ერთსულოვან თანხმობას.

ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების აღრიცხვა ხდება თავდაპირველად თვითღირებულებით და შემდგომ კაპიტალ მეთოდით. ერთობლივ საწარმოებისგან მიღებული დივიდენდები ამცირებს ერთობლივ საწარმოში არსებული ინვესტიციების საბალანსო ღირებულებას. ინვესტიციები იტესტება გაუფასურებაზე ბასს 36-ის „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით, როგორც ცალკეული აქტივი, თუკი არსებობს გაუფასურების ინდიკატორები.

22.4 ამონაგები

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

ჯგუფი შემოსავლის ძირითად ნაწილს იღებს სამედიცინო და არასამედიცინო პროდუქციის გაყიდვიდან, მომხმარებლისთვის სამედიცინო და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევიდან.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა (შემოსავალი სამედიცინო და არასამედიცინო მარაგების გაყიდვიდან)

შემოსავალი სამედიცინო და არასამედიცინო პროდუქციის გაყიდვიდან აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როდესაც ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის ისე მიღების ადგილას, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის ჯგუფი ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, ჯგუფს აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

ასევე, ჯგუფი მომხმარებლებს აძლევს არჩევანის უფლებას (ოფციონს) დამატებითი საქონლის ან მომსახურების უფასოდ ან ფასდათმობით მიღებასთან დაკავშირებით, კონკრეტულად კი ხდება მომხმარებლისთვის სასაჩუქრე ქულების მიცემა, რომლის გამოყენებითაც მომხმარებელს სამომავლოდ შეუძლია ფასდათმობით ან უფასოდ მიიღოს საქონელი ან მომსახურება.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მომხმარებელს ამგვარი ოფციონი არსებით უფლებას ანიჭებს, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს ავანსად უზდის მომავალში გადასაცემი საქონლის ან მომსახურებისთვის და, შესაბამისად, ჯგუფი ამ შემოსავალს მხოლოდ მაშინ აღიარებს, როდესაც ამგვარ სამომავლო საქონელს, ან მომსახურებას გადასცემს, ან ოფციონს მოქმედების ვადა გაუვა. უფლების გამოყენებამდე ან ვადის გასვლამდე ჯგუფი გადავადებული შემოსავლის სახით აღიარებს ლოიალობის პროგრამის ფარგლებში დაგროვებულ უფლებას, მომხმარებელმა მიიღოს ფასდათმობით ან უფასოდ სამომავლოდ საქონელი ან მომსახურება.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ჯგუფის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. ჯგუფი მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ შესასრულებელ მოვალეობაზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით.

სასაჩუქრე ქულების შემთხვევაში, ჯგუფი გარიგების ფასს შესასრულებელ ვალდებულებაზე ანაწილებს შედარებით განცალკევებით გასაყიდი ფასის საფუძველზე. როდესაც მომხმარებლის დამატებითი საქონლის ან მომსახურების შეძენის ოფციონის განცალკევებით გასაყიდი ფასი უშუალოდ არ არის ემპირიული, მაშინ ჯგუფი აფასებს აღნიშნულ ფასს. ჯგუფი შეფასებაში ასახავს ფასდათმობას, რომელსაც მომხმარებელი მიიღებს ოფციონის გამოყენებისას, რომელიც კორექტირდება შემდეგი ფაქტორის გათვალისწინებით: ა) ფასდათმობა, რომლის მიღებაც მომხმარებელს შეუძლია ოფციონის გამოყენების გარეშე; და ბ) ამ ოფციონის გამოყენების ალბათობა.

ამასთანავე, როდესაც მომხმარებელს გააჩნია სამომავლო საქონლის ან მომსახურების შეძენის არსებითი უფლება და ეს საქონელი ან მომსახურება თავდაპირველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ან მომსახურების ანალოგიურია და მიწოდებაც ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ხორციელდება, მაშინ ჯგუფი გარიგების ფასს ანაწილებს ოფციონით გათვალისწინებულ დამატებით საქონელზე ან მომსახურებაზე იმ საქონლის ან მომსახურების მოცულობის საფუძველზე, რომლის მიწოდებაცაც ჯგუფი ვარაუდობს, ასევე, შესაბამისი მოსალოდნელი ანაზღაურების გათვალისწინებით.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა (შემოსავალი სამედიცინო და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევიდან)

სამედიცინო და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალს წარმოადგენს ამბოლატორიული და სტაციონალური მომსახურების გაწევა. ჯგუფისათვის აღნიშნული შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

ფიზიკური პირებისთვის გასაწევი მომსახურების საფასური, რომლებიც დაზღვეულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში გაწერილია სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებში. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაზღვეული ფიზიკური პირებისთვის მოქმედებს განაკვეთი, რომელიც დადგენილია სახელმწიფოსთან შეთანხმების საფუძველზე. დაზღვეველ ფიზიკურ პირებზე შემოსავლის აღიარება ხდება ჯგუფის მიერ დადგენილი შიდა სტანდარტით განსაზღვრული ფასის მიხედვით.

სახელმწიფოსა და სადაზღვევო კომპანიებთან არსებული ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკის მიხედვით ჯგუფის მიერ გაგზავნილი შესრულებული სამუშაოს ამსახველი დოკუმენტები (ანგარიშფაქტურები) კორექტირდება შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში. ფასს 15-ის მოთხოვნების გათვალისწინებით, ჯგუფმა თავიდან რომ აირიდოს შემოსავლის გადაჭარბებით აღიარება, წარსული გამოცდილებით ახორციელებს ანაზღაურების მოსალოდნელი კორექტირების სავარაუდო შეფასებას. მომავალში პოტენციური კორექტირებებისა და ფასდაკლებების სავარაუდო შეფასება ეყრდნობოდა სახელმწიფოს და სადაზღვევო კომპანიების მხრიდან კორექტირებების მაჩვენებლების შესახებ ბოლო 1 წლის ფაქტიურ მონაცემებს.

გამოყენებული განთავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

22.5 ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ჰყოფს შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ფინანსური აქტივები დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით, გაცემული სესხებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

„ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში

ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ კაპიტალის განმარტებას ემიტენტის მხრიდან ე.ი. ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ხელშეკრულებით ვალდებულებას ფულადი სახსრების გადახდაზე, და წარმოადგენს ნარჩენ პროცენტს ემიტენტი წმინდა აქტივები, ჯგუფის მიერ განიხილება, როგორც ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში. ინვესტიციები აღიარდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი ირჩევს თავდაპირველი აღიარებისას შეუქცევადი არჩევანის უფლებას, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციის რეალურ ღირებულებაში შემდგომში მომხდარი ცვლილებები და წარმოადგენს სავაჭროდ გამიზნულ ინსტრუმენტს. ჯგუფის პოლიტიკით ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში აღიარდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL), რადგან მათი ფლობის მიზანი არის საინვესტიციო შემოსავლის მიღება და არ არის გამიზნული სავაჭროდ. FVTPL გამოყენების შემთხვევაში რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული მოგება ან ზარალი აისახება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ჯგუფი მოგებაში ან ზარალში აღიარებს აღნიშნული ინვესტიციიდან მიღებულ დივიდენდებს.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი. თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას შეფასებული რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან, მაშინ:

- თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ ჯგუფი აღიარებს სხვაობას თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, როგორც მოგებას ან ზარალს;
- ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება დაკორექტირდება, რომ გადაავადოს სხვაობა თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ჯგუფი ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ მაშინ, როდესაც მონაცემები გახდება ბაზარზე მოპოვებადი, ან როდესაც ინსტრუმენტების აღიარება შეწყდება;

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით ჯგუფს ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა თავის ყველა სავალო ფასიან ქაღალდზე, სესხსა და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე, 12 თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიზანია, ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით, რომლის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, მიუხედავად იმისა, გაუფასურება ინდივიდუალურად შეფასდა თუ ჯგუფურად, რისთვისაც ჯგუფი ითვალისწინებს ყველა გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას, მათ შორის, საპროგნოზო ინფორმაციასაც.

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ.

ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს მეთოდოლოგიის საფუძველზე:

- ინდივიდუალურად განიხილავს სახელმწიფოსგან მისაღებ თანხებს
- ინდივიდუალურად განიხილავს დაკავშირებული მხარეებისგან მისაღებ თანხებს
- ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნებისგან განცალკევებით განიხილავს ფიზიკური პირების მიმართ არსებული დავალიანების ჯგუფს, მათ შორის აღსრულების ეროვნულ ბიუროში შეტანილ მოთხოვნებს
- ინდივიდუალურად განიხილავს მნიშვნელოვანი დებიტორების მიმართ არსებულ მოთხოვნებს
- ჯგუფურად ფასდება ყველა სხვა დებიტორული დავალიანება, რადგან ჯგუფის გამოცდილებით დარჩენილი ერთობლიობა არ მოიცავს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან ელემენტებს.

სახელმწიფოსგან მისაღები თანხები

სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ მოთხოვნის ფორმირება ხდება ჯგუფის მიერ სამედიცინო და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის შედეგად. ჯგუფი მონაწილეობს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში, საიდანაც ფორმირდება აღნიშნული მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი.

აღნიშნულ მოთხოვნებს გააჩნიათ სპეციფიკური რისკიანობის მახასიათებელი, რომელიც განსხვავდება ჯგუფის სხვა დებიტორებისგან. აღნიშნული ფაქტისა და შესაბამისი ნაშთის არსებობის გათვალისწინებით, ჯგუფი ინდივიდუალურად განიხილავს გაუფასურებაზე მთავრობისგან მისაღებ თანხებს.

ჯგუფი არ აღიარებს საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში წარმოშობილ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რადგან არ გააჩნია აღნიშნული მოთხოვნებიდან მისაღებ თანხებთან დაკავშირებული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილება.

დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები თანხები

ჯგუფი ინდივიდუალურად განიხილავს გაუფასურებაზე დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ მოთხოვნებს და მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორებსა და ინდივიდუალურ გარემოებებს, რომელიც ჯგუფს შესაძლოა გააჩნდეს მის დაკავშირებულ მხარეებთან ბიზნეს საქმიანობის პროცესში. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე ჯგუფის ხელმძღვანელობა აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოცულობას, რომელიც განისაზღვრება გამოცდილების და მომავალი მოლოდინების საფუძველზე.

ფიზიკური პირებისგან მისაღები თანხები

აღნიშნულ მოთხოვნები წარმოიშობა სამედიცინო და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის შედეგად და გააჩნიათ სპეციფიკური რისკიანობის მახასიათებელი, რომელიც განსხვავდება ჯგუფის სხვა დებიტორებისგან, რადგან აღნიშნულ მოთხოვნებზე მაღალია როგორც დეფოლტის ალბათობა, ასევე, დეფოლტის დადგომისას საკრედიტო დანაკარგი. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, ჯგუფი ჯგუფური რეზერვისგან განცალკევებით განიხილავს გაუფასურებაზე ფიზიკური პირებისგან მისაღებ თანხებს. წარსული პერიოდების საკრედიტო ზარალების ანალიზის გათვალისწინებით ჯგუფი იყენებს 100%-იან გაუფასურების დანაკარგის განაკვეთს.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მნიშვნელოვანი დებიტორების მიმართ არსებული მოთხოვნები

აღნიშნულ კატეგორიაში განხილულ მოთხოვნების შეფასებისას ჯგუფი მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორებსა და ინდივიდუალურ გარემოებებს, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს: ა) დებიტორის ფინანსურ მდგომარეობას, ბ) მისაღები თანხების ვადაგადაცილების სტატუსს, გ) კონტრაგენტთან არსებულ დავალიანებას, დ) ნებისმიერ ხელმისაწვდომ არაფინანსურ ინფორმაციას და ა.შ.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნები

იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად შეფასებულ სავაჭრო მოთხოვნებზე, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება ჯგუფის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი კორექტირდება არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის მომხმარებლებზე. ჯგუფი ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც ჯგუფი ოპერირებს.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება

ჯგუფმა არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლზე ჯგუფი არ აღიარებს გაუფასურების ზარალს ფასს 9-ის შესაბამისად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (იი) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას.

ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთჩათვლისთვის.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

22.6 საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო ხარჯი კონსოლიდირებული აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იგი კაპიტალიზდება განსაკუთრებული აქტივის თვითღირებულებაში.

22.7 სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

22.8 იჯარა

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი საიჯარო ვალდებულება აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის.

საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და

იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე.

სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება იჯარის ვადის შესაბამისად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა ჯგუფი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადაზე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადაზე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადაზე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადაზე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ახდენს საიჯარო ვადების ხელახალ შეფასებას. საიჯარო ვადების ცვლილების ეფექტით ხდება აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების დაკორექტირება.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარების პორტფელური აღრიცხვა

ჯგუფი მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელს აღრიცხავს გამარტივებული მიდგომის სახით, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჯგუფი ვარაუდობს, რომ ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებით იჯარის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითად განსხვავებული არ იქნება პორტფელის შემადგენელი ცალკეული ხელშეკრულების მიმართ მისი გამოყენების შედეგისგან. ხელშეკრულებების პორტფელის მიხედვით აღრიცხვისას, ჯგუფი იყენებს ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც ასახავს პორტფელის სიდიდესა და შემადგენლობას.

ჯგუფი იყენებს ერთი დისკონტირების განაკვეთს საკმარისად მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებით (როგორცაა, მაგალითად მსგავსი კლასის საიჯარო აქტივების საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებსაც მსგავსი დარჩენილი იჯარის ვადა აქვთ ანალოგიურ ეკონომიკურ გარემოში და ნომინირებულია ერთი და იგივე ვალუტაში).

22.9 ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

22.10 დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებული მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღიარდება სხვა ხარჯების მუხლში - „გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა“.

ჯგუფის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-სგან, გამოქვითვის უფლების გარეშე. გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია სხვა გარიგებებთან, გარდა ზემოთ ნახსენებებისა, საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ხდება მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთანავე. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ს ანგარიშსწორება წმინდა საფუძველზე. გაყიდვასა და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. მოთხოვნების მოსალოდნელი გაუფასურების ზარალის აღრიცხვა ხდება მოთხოვნის მთლიანი თანხისთვის, დღგ-ს ჩათვლით.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

22.11 მარაგები

ჯგუფში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ ჯგუფს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ჯგუფის მარაგები ძირითადად მოიცავს სარეალიზაციოდ და სამედიცინო მომსახურების გაწევის პროცესში გამოსაყენებლად გამიზნულ მედიკამენტებს და სახარჯ მარაგებს. ჯგუფში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება ინდივიდუალური მეთოდის საფუძველზე.

22.12 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარ აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20-50
სამედიცინო დანადგარები და მოწყობილობები	5-15
აღჭურვილობა და ინვენტარი	3-15
სატრანსპორტო საშუალებები	13-15
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	იჯარის ხელშეკრულების პერიოდი
სხვა	2-30
მიწა	არ ერიცხება ცვეთა
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ერიცხება ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალებების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

22.13 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებას ჯგუფი აქტივად აღიარებს როდესაც: ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; ბ) შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

საინვესტიციო ქონება აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს.

საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 20-40 წლით. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

22.14 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი მიმოიხილავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, ჯგუფი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

22.15 საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

22.16 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

22.17 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

22.18 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში მოსალოდნელია - აისახება კონსოლიდირებულ განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ჯგუფში ანარიცხი აღიარდება, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

კონსოლიდირებული
მმართველობის ანგარიშგება



2022 წელი



სარჩევი

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა	48
მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა და 2022 წელი „შპს“-თვის	52
„შპს“-ს განვითარების გეგმები.....	53
„ნიუ ჰოსპიტალის“ განვითარების გეგმები.....	54
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	55
სოციალური პასუხისმგებლობა.....	57
კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები.....	57
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	58
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	59

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

საქმიანობის აღწერა

„პსპ“ საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე 1994 წლიდან ოპერირებს. მან საქმიანობა საქართველოში ევროპული მწარმოებლების პარტნიორობით დაიწყო. დღესდღეობით „პსპ“ ახორციელებს 16,000-ზე მეტი დასახელების ფარმაცევტული პროდუქტის, სამკურნალო კოსმეტიკის, ჰიგიენური საშუალებების იმპორტს და დისტრიბუციას მთელი საქართველოს მასშტაბით.

ფარმაცევტული პროდუქტისა და პარაფარმაციის რეალიზაციას კომპანია ახდენს როგორც საცალო, ასევე საბითუმო სახით. კომპანია ემსახურება საცალო მომხმარებელს, სადაზღვევო კომპანიებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, სადისტრიბუციო კომპანიებს, კერძო ავთიაქებსა და ჰოსპიტალურ სექტორს.


„პსპ“-ს სააფთიაქო ქსელის მიზანია მოსახლეობის უზრუნველყოფა მაღალი ხარისხის ფარმაცევტული პროდუქტებით ხელმისაწვდომ ფასად.

„პსპ“ ყველა პარამეტრით ლიდერია საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე. კვლევითი კომპანია „ეისითის“ მონაცემებით, მომხმარებელთა უმრავლესობა „პსპ“-ს აფთიაქით სარგებლობს როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. კვლევის თანახმად, „პსპ“ ყველაზე თანამედროვე, აქტიურ და განვითარებაზე ორიენტირებულ ლიდერ ბრენდად აღიქმება, რომელიც პროდუქციის მრავალფეროვნებით და ხშირი ფასდაკლებებით გამოირჩევა. ცნობადობის თვალსაზრისით „პსპ“ გამორჩეული ლიდერია ისეთი მნიშვნელოვანი მარკეტინგული პარამეტრის მიხედვით, როგორიც არის Top of Mind. ბრენდი პირველ რიგში ბაზრის 42% ახსენდება, მაშინ, როდესაც რეიტინგით შემდეგი აფთიაქის მაჩვენებელი 23%-ს არ აღემატება.¹

„პსპ“-ს მომწოდებელი მსოფლიოს 400-ზე მეტი კომპანიაა, რომლებიც საერთაშორისო ფარმაცევტული სტანდარტით - GMP (სათანადო წარმოების პრაქტიკა) აწარმოებენ ფარმაცევტულ პროდუქტებს; გარანტირებული ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად „პსპ“-ში მათი დასაწყობება, შენახვა და გაცემა საერთაშორისო სტანდარტის GDP-ს (სათანადო სადისტრიბუციო პრაქტიკა) მიხედვით ხორციელდება და შესაბამისად, მომხმარებელს მხოლოდ გარანტირებული ხარისხის ფარმაცევტული პროდუქტები მიეწოდება.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „პსპ“ ბრენდის ქვეშ 304 აფთიაქი ემსახურებოდა მომხმარებელს და წარმოდგენილი იყო მთელი საქართველოს მასშტაბით.

ავთიაქების გეოგრაფიული დაფარვა



¹ ეისითი, 2022

შპს „პსპ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

მომხმარებელთა ლოიალობის გაზრდის მიზნით შექმნილი „ჩემი ოჯახის ბარათი“ 2007 წლიდან მოქმედებს. ეს არის ფასდაკლების და დაგროვების ბარათი, რომელზეც მომხმარებელი „პსპ“-ს საფთვიაქო ქსელში შეძენილი პროდუქციით აგროვებს ქულებს და იღებს ფასდაკლებებს. მხოლოდ 2022 წლის მანძილზე 249 888 ბარათი გაიცა მომხმარებლებზე. ხოლო ბარათის მფლობელთა რაოდენობა 2 000 000-მდეა.

„პსპ“-ს კონცეფცია „უფრო მეტი, ვიდრე აფთიაქი“ მომხმარებელს ფარმაცევტული პროდუქტების გარდა ბავშვთა მოვლისა და ევროპული კოსმეტიკის ფართო არჩევანს სთავაზობს. აფთიაქში სამი ზონაა: აფთიაქი, „ყველაფერი ბავშვებისა და ოჯახზე ზრუნვისათვის“ და სილამაზეზე ზრუნვა. განახლებულმა ასორტიმენტმა და ახალმა აფთიაქის კონცეფციამ კომპანიის საქმიანობაზე დიდი გავლენა მოახდინა და იმოქმედა არა მხოლოდ კომპანიის განვითარებაზე, არამედ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია მთელ ბაზარზე.



კომპანიის მისიაა გაუადვილოს ადამიანებს ჯანმრთელობაზე ზრუნვა

„პსპ“-ს საქმიანობა ემსახურება მის დანიშნულებას: ჯანსაღი საზოგადოება - ძლიერი ქვეყანა.

პსპ ფარმა“ ფლობს შვილობილ კომპანიას „ნიუ ჰოსპიტალს“.

„ნიუ ჰოსპიტალსი“ ევროპული სტანდარტების დაცვით აშენებული, 275 საწოლიანი, მრავალ-პროფილური კლინიკაა, რომელიც 2011 წლიდან სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებას სთავაზობს პაციენტებს. კომპანიაში დასაქმებულია 1,600-მდე თანამშრომელი.

კომპანიის მიზანია სამედიცინო კომპეტენციის და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების მეშვეობით გააუმჯობესოს საქართველოში ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების ხარისხი და შეინარჩუნოს ქვეყნის მასშტაბით წამყვანი ჰოსპიტალის ადგილი.

„ნიუ ჰოსპიტალსის“, როგორც ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის, საქმიანობის მისია პაციენტის კეთილდღეობაა, რასაც ხარისხიანი მომსახურებით, პროფესიონალიზმით, პაციენტების მიმართ გულისხმიერებით და თითოეული დეპარტამენტის კეთილსინდისიერი ოპერირებით აღწევს.

ჰოსპიტალი ორიენტირებულია პაციენტისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაზე, რაც მოიცავს ეფექტური ჯანდაცვის პროდუქტებსა და გამჭვირვალე ბიზნეს პროცესების ერთობლიობას. „ნიუ ჰოსპიტალსში“ ფუნქციონირებს მრავალი სრულყოფილად აღჭურვილი განყოფილება, მრავალპროფილიანი სადიაგნოსტიკო და სამკურნალო შესაძლებლობებით:

- † ოფთალმოლოგიის ეროვნული ცენტრი
- † ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრი
- † მუცლის ღრუს და გულმკერდის ქირურგია
- † ღვიძლისა და სანაღვლე გზების ქირურგია
- † ინტერვენციული რადიოლოგია
- † კარდიოლოგია და კარდიოქირურგია

†	არითმიების ცენტრი
†	ანგიოლოგია და ანგიოქირურგია
†	ნევროლოგია და ნეირორეაბილიტაცია
†	ნეიროქირურგია
†	ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ცენტრი
†	ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი
†	ოტო-რინო-ლარინგოლოგიის ცენტრი
†	მოზრდილთა და ბავშვთა ხერხემლის ქირურგიის ცენტრი
†	მოზრდილთა და ბავშვთა რევმატოლოგიის ცენტრი
†	გინეკოლოგია
†	ენდოსკოპია
†	თერაპია
†	ნეფროლოგია
†	გასტროენტეროლოგია
†	დერმატოლოგია
†	ლაბორატორია
†	ალერგოლოგია
†	კრიტიკული მედიცინა
†	რადიოლოგია
†	გადაუდებელი დახმარება,
†	პროფილაქტიკური კვლევები
†	ენდოკრინოლოგია
†	პროქტოლოგია
†	ყბასახის ქირურგია
†	სისხლის ბანკი

აღსანიშნავია, რომ „ნიუ ჰოსპიტალის“ ოფთალმოლოგიის ეროვნულ ცენტრი აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური აპარატურით და ლიდერია თვალის დაავადებების პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დარგში. ჰოსპიტალში არსებული აპარატურა უზრუნველყოფს ზუსტ და სწრაფ სადიაგნოსტიკო, თერაპიულ და ქირურგიულ მომსახურებას.

ოფთალმოლოგიის ეროვნული ცენტრში ხელმისაწვდომია ოფთალმოლოგიური მომსახურებების სრული სპექტრი, ის აღიარებულია კარლ ცაისისა და გერმანიის ეკონომიკური განვითარების საბჭოს მიერ ამიერკავკასიის რეგიონალურ რეფრაქციული ქირურგიის ცენტრად. ცენტრის ოფთალმოლოგები და ქირურგები მუდმივად ნერგავენ თვალის დაავადებათა მკურნალობის ინოვაციურ მეთოდებს.

ცენტრის გამოცდილი ოფთალმოლოგები და ქირურგები პაციენტებს 24 საათის განმავლობაში აწვდიან ფართო სპექტრის სადიაგნოსტიკო და ქირურგიულ მომსახურებას თვალის დაავადებების დარგში, მათ შორის თვალის ნებისმიერი სირთულის ტრამვის, კატარაქტის, გლაუკომის, რქოვანასა და ბადურას დაავადებების, სიმსივნეების, თვალის ნევროლოგიური დაავადებების, თვალის ტრავმებისა და ისეთი დაზიანებების დროს, როდესაც თვალის გარშემო სტრუქტურები დაზიანებულია.

„ნიუ ჰოსპიტალის“ ძირითადი ფასეულობები:

კომპეტენცია მკურნალობის პროცესში

კომპეტენცია მკურნალობის პროცესში აუცილებელი კომპონენტია ჯანდაცვის პროცესების წარმატებით სამართავად. ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება სწორედ ეფექტურ სამედიცინო გადაწყვეტილებებს ეფუძნება.

პაციენტზე მორგებული მომსახურება

ჰოსპიტალის თითოეული პაციენტი საიმედო ხელშია. კომპანია ითვალისწინებს და აკმაყოფილებს პაციენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. პაციენტი ექიმების მზრუნველობისა და ყურადღების ცენტრშია მკურნალობის ყველა საფეხურზე და თავად არის ჩართული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცესში. პაციენტის საუკეთესო მკურნალობის უზრუნველსაყოფად ჰოსპიტალის თითოეული განყოფილება მულტი-დისციპლინარული მიდგომით მუშაობს. კომპანია მიმართავს ინტეგრირებული ზრუნვის მოდელს, რაც ექიმებისა და ექთნების გუნდურ, შეთანხმებულ მოქმედებას გულისხმობს.

ხარისხი

სამედიცინო სერვისების ხარისხის მართვა მნიშვნელოვანი პროცესია. სწორედ ამიტომ, „ნიუ ჰოსპიტალის“ მუდმივად ახდენს მომსახურების ხარისხის მონიტორინგს და მუშაობს მის გასაუმჯობესებლად. ამასთან, კომპანია თანამშრომლობს ევროპის წამყვან კლინიკებთან, რის შედეგადაც მუდმივად ნერგავს ახალ ევროპულ სტანდარტებს პაციენტებზე ზრუნვისა და მათი მომსახურების პროცესებში. JCI აკრედიტაციის მისაღებად გაწეული შრომა და პროცესების დანერგვა ამცირებს პაციენტებთან მუშაობაში დაშვებულ სამედიცინო შეცდომებს და უზრუნველყოფს პაციენტების უსაფრთხოებასა და ოპტიმალურ ვადაში გამოჯანმრთელებას. კლინიკაში დაინერგა პაციენტების იდენტიფიკაციის, უსაფრთხო ქირურგიის, მედიკამენტების მიმოქცევის, ლაბორატორიული ტესტირების და მრავალი სხვა პროცედურა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სადიაგნოსტიკო და სამკურნალო პროცედურების უსაფრთხოებასა და ხარისხს.

პროფესიონალიზმი და ევროპული გამოცდილება

„ნიუ ჰოსპიტალის“ მუდმივად ზრუნავს სამედიცინო პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და უზრუნველყოფს მათთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებს ქვეყნის შიგნით თუ მის საზღვრებს გარეთ. ამასთან, ჰოსპიტალი თანამშრომლობს ევროპული გამოცდილების მქონე პროფესიონალ ექიმებთან, რომლებიც კლინიკის სხვადასხვა დეპარტამენტში არიან დასაქმებული და მონაწილეობას იღებენ პაციენტების სადიაგნოსტიკო და სამკურნალო პროცესებში.

გარემო და უსაფრთხოება

იმისათვის რომ, პაციენტებმა მიიღონ საუკეთესო მკურნალობა და თავი კომფორტულად და უსაფრთხოდ იგრძნონ, ჰოსპიტალის ინფრასტრუქტურა შექმნილია მკაცრი ევროპული სტანდარტების მიხედვით.

ჰოსპიტალში არსებული ვენტილაციის სისტემა უზრუნველყოფს ჰაერის ნაკადების მართვას და ფილტრაციას, ასევე ტენიანობისა და ტემპერატურის რეგულირებას, საოპერაციო ბლოკებში ჰაერის სტერილობა რეგულარულად მოწმდება ევროპიდან მოწვეული სპეციალისტების მიერ, რაც უზრუნველყოფს პაციენტების უსაფრთხოებას საოპერაციოში და სადიაგნოსტიკო/სამკურნალო პროცედურების წარმატებულად ჩატარებას.

„ნიუ ჰოსპიტალის“ აღჭურვილია სახანძრო და საგანგებო სიტუაციების უსაფრთხოების სისტემით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პაციენტებისა და ჰოსპიტალის თანამშრომლების დაცულობას საგანგებო სიტუაციის არსებობის შემთხვევაში. სისტემა დანერგილია ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით და მუდმივად გამართულია პოტენციური საფრთხის აღმოსაფხვრელად.

მეტი უსაფრთხოებისთვის, ჰოსპიტალს გააჩნია ელექტრომომარაგების საკუთარი სისტემა, რაც წარმოადგენს მისთვის ელექტრობის უწყვეტი მიწოდების გარანტს. კლინიკას აქვს მუდმივად განახლებადი წყალმომარაგების 3 დღის მარაგი რაც შესაბამისად აღმოფხვრის რისკებს, რაც შესაძლოა პაციენტებს შეექმნათ ელექტრო და წყალმომარაგების შეწყვეტის შედეგად.

ჰიგიენა და ჰოსპიტალური ინფექციების პრევენცია

ბიოლოგიური დაბინძურების და ჰოსპიტალური ინფექციის გავრცელების პრევენცია ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა კომპანიისთვის. შესაბამისად, ორგანიზაციული პროცესები მკაცრად ექვემდებარება გაიდლაინებს და სტანდარტებს. ვენტილაციის და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებთან ერთად, ჰოსპიტალს გამოარჩევს წყლის ფილტრაციისა და სამედიცინო ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემები, რაც მნიშვნელოვანია ჰიგიენის უმაღლესი სტანდარტების დასაცავად. კომპანია მუდმივად ახორციელებს უსაფრთხოებისა და ჰიგიენის სტანდარტების მონიტორინგს, რის შედეგადაც ხდება პოტენციურად სახიფათო პროცედურების გამოვლენა და ზიანის პრევენცია.

თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობა

კომპანია ინვესტირებას ახდენს თანამედროვე ტექნოლოგიებში. „ნიუ ჰოსპიტალსი“ აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო ტექნიკით, რომელიც საშუალებას გვაძლევს პაციენტებს გავუწიოთ საუკეთესო სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მომსახურება. მუდმივად მიმდინარეობს გადაიარაღებისა და აპარატურის განახლების პროცესი, რის გამოც კლინიკა მუდმივად თანამედროვე ტექნოლოგიების ავანგარდშია.

საუკეთესო დამსაქმებელი

კომპანიისთვის თითოეული თანამშრომელი მნიშვნელოვანია. საუკეთესო სამუშაო გარემოს შესაქმნელად გათვალისწინებულია თანამშრომლების ინდივიდუალური საჭიროებები, შემუშავებულია თანამშრომლებისთვის მისაღები სამუშაო საათები. თანამშრომლებს აქვთ პროფესიული ზრდის შესაძლებლობა. კომპანია უზრუნველყოფს მათ კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა და 2022 წელი „პსკ“-თვის

2022 წელს ქვეყნის მშპ-ს ზრდამ 10.1% შეადგინა, ლარი 15% გამყარდა დოლართან მიმართებაში, ინფლაციამ 10.4% შეადგინა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები. ² იმის მიუხედავად, რომ 2021 წლის ბოლოს „კოვიდ ვირუსთან ბრძოლა“ დასრულდა, 2022 წელი ახალი გამოწვევებით სავსე აღმოჩნდა.

უკრაინის ომმა შეცვალა და გაართულა ლოგისტიკური ჯაჭვი, საჭირო გახდა უკრაინის ტერიტორიაზე გამავალი ტვირთების გადამისამართება აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაზე. შეიზღუდა უკრაინელი მწარმოებლებისგან პროდუქციის მოწოდება. მოწოდების შეფერხებებმა გამოიწვია დეფიციტი რამდენიმე ხშირად მოთხოვნად ფარმაცევტულ პროდუქტზე. დროის უმცირეს მონაკვეთში, კომპანიას ახალი ბაზრების და მომწოდებლების მოძიება დასჭირდა, მომხმარებლებისთვის მედიკამენტების უწყვეტი მიწოდების შესანარჩუნებლად.

2022 წლის პირველი იანვრიდან სახელმწიფო რეგულაციების ცვლილების საფუძველზე სავალდებულო გახდა GDP და GMP სტანდარტებით მომსახურება. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია „პსკ“-ს საწყობი სტანდარტის მოთხოვნებზე დაყრდნობით აშენდა და ახორციელებდა საქმიანობას, კომპანიას მაინც მოუხდა გარკვეული ცვლილებების გატარება. სტანდარტთან შესაბამისობაში დაიხვეწა არსებული სამუშაო პროცესები. სრულად გაციფრულდა პროცესები, „live“ რეჟიმში გახდა ხელმისაწვდომი პროდუქტის მოძრაობის სრული ციკლი, მათ შორის ტემპერატურული კონტროლი. ციფრულად აღრიცხვადი გახდა თითოეული თანამშრომლის ეფექტურობა. EU GDP სერტიფიცირების წარმატებით გავლამ კომპანიის ხარისხის სტანდარტი გაუთანაბრა დასავლეთ ევროპაში მოქმედი ფარმაცევტული დისტრიბუტორების სტანდარტს.

GMP სავალდებულო სერტიფიცირების გამო შემცირდა ადგილობრივი ფარმაცევტული მწარმოებლების რაოდენობა, რამაც გამოიწვია საქართველოში წარმოებული გარკვეული პროდუქციის გაქრობა ბაზრიდან, თუმცა ამ გამოწვევასაც კომპანია პსკ-მ სწრაფი რეაგირებით უპასუხა, რომ საქართველოს მოქალაქეებს მუდმივი წვდომა ჰქონდეთ ყველა საჭირო გარანტირებული ხარისხის მედიკამენტზე.

2022 წელს გაიხსნა თურქეთის ფარმაცევტული ბაზარი. შესაძლებელი გახდა თურქეთში რეგისტრირებული მედიკამენტების აღიარებითი რეჟიმით დარეგისტრირება და იმპორტი. ამასთან ერთად, ჯანდაცვის სამინისტრომ დაიწყო თურქული მედიკამენტების პროაქტიული რეჟიმით რეგისტრირება. ამ ცვლილებამ შესაძლებელი გახდა ბაზრისთვის ევროპული მედიკამენტების იაფი ალტერნატივის შეთავაზება, რაც კომპანიამ თურქ მწარმოებლებთან და დისტრიბუტორებთან აქტიური თანამშრომლობით უპასუხა და მოქალაქეებისთვის 200-მდე დასახელების მედიკამენტზე იაფი თურქული ანალოგების შეთავაზებით უპასუხა; ჯამში ამ მედიკამენტებს პსკ მომხმარებელს საშუალოდ 58%-ით უფრო იაფად სთავაზობს. პროცესი შეფერხდა, 2022 წლის ბოლოს, რადგან თურქეთის მთავრობამ გაამკაცრა ქვეყნიდან ფარმაცევტული პროდუქციის ექსპორტი, ამჟამად თურქეთიდან ექსპორტი დაშვებულია მხოლოდ სპეციალური ნებართვით, რამაც გაართულა თურქეთიდან პროდუქციის შემოტანა.

2022 წლის ბოლოს სახელმწიფომ დაამტკიცა რეგულაცია ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიის შესახებ. იმის გამო, რომ განსაზღვრული არ იყო რა ჯგუფის ფარმაცევტულ პროდუქტებზე გავრცელდებოდა რეფერენტული ფასები, გართულდა 2023 წლის შესყიდვის დაგეგმვა; ამასთან ბევრი ქრონიკული დაავადების სამკურნალო მედიკამენტის მწარმოებლის ფასი გაცილებით მაღალი აღმოჩნდა შეთავაზებულ რეფერენტულ ფასთან მიმართებაში. მედიკამენტის ფასწარმოქმნა სრულად მწარმოებლის კომპეტენციაა, სადისტრიბუციო კომპანია და/ან აფთიაქი ფასს თავად ვერ აწესებს და სრულად მომწოდებლის ფასზეა დამოკიდებული, ამიტომ გარკვეული მედიკამენტების შემოტანა სამინისტროს საბოლოო გადაწყვეტილებამდე შეფერხებულია.

² Geostat, 2022

„პსპ“-ს განვითარების გეგმები

„პსპ“-ს სააფთიაქო ქსელის მიზანია მოსახლეობის უზრუნველყოფა მაღალი ხარისხის ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქტებით.

2022 წლის მანძილზე განხორციელებულმა სიახლეებმა ხელი შეუწყო აღნიშნული მიზნის მიღწევას. კერძოდ:

- 2022 წლის მანძილზე მოხდა კოსმეტიკის ასორტიმენტის გაფართოება, დაგეგმატა მსოფლიოში ტრენდული, მოთხოვნადი და ხელმისაწვდომი ბრენდები CRV, Tonymoly, Institut Karite, We Hair, Mediatic Labs, SAF s.r.l., რომლებმაც მალე მოიპოვეს პოპულარობა საქართველოს ბაზარზე.
- გაგრძელდა მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო სოციალური პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები (სოციალურად დაუცველები, პენსიონერები, შშმ პირები, მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობა და სხვა) უფასოდ იღებენ ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებს.
- მნიშვნელოვნად გაფართოვდა საკვები დანამატების ასორტიმენტი, რაც საკმაოდ აქტუალური და მოთხოვნადია ბაზარზე.
- გაიხსნა 15 ახალი აფთიაქი.

„პსპ“-ს შემუშავებული აქვს მომავალი სამი წლის სტრატეგია, რომელიც რამდენიმე მიმართულებას მოიცავს:

- ლიდერის იმიჯის გაძლიერება;
„პსპ“ საქართველოში კვლევითი კომპანია „ეისითი“-ს მიხედვით ლიდერის პოზიციას იკავებს.³ კომპანია კვლავ გააგრძელებს ინოვაციური მიდგომების დანერგვას ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე და გააღრმავებს ისეთ პარამეტრებს, როგორიცაა ლიდერობა, წარმატებულობა, ეროვნულობა და ხარისხის გარანტიად ყოფნა.
- მომხმარებელზე ორიენტირებულობის გაძლიერება;
„პსპ“-ს დღეს ასეულობით ათასი მომხმარებელი ენდობა. მომდევნო პერიოდში უფრო გაფართოვდება მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომები.
- ასორტიმენტის გაფართოება;
ასორტიმენტის ანალიზი და მისი გაფართოება „პსპ“-ს ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა. კომპანია გეგმავს წამყვანი ევროპული კოსმეტიკური ბრენდების დამატებას, საბავშვო დეკორატიული კოსმეტიკის დამატებას, პრემიუმ შეიციარული ბრენდის შემოტანას, ასევე მაღალი ხარისხის „ბად“-ებისა და ვიტამინების დამატებას. ასევე დაგეგმილია ჰოსპიტალური სექტორისთვის სპეციალიზირებული ასორტიმენტის შემუშავება და შემოტანა/მიწოდება.
- ტერიტორიული ხელმისაწვდომობა;
ტერიტორიული ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი ცენტრალური მიმართულებაა კომპანიის სტრატეგიაში. „პსპ“ სამომავლოდაც გააფართოებს სააფთიაქო ქსელს. „პსპ“ წარმოდგენილი იქნება თბილისის ყველა მხრიდან უბანსა და საქართველოს ყველა რეგიონში. კომპანია გეგმავს 2023 წელს 15 ახალი აფთიაქის დამატებას თბილისში და სხვა რეგიონებში.
- პერსონალის განვითარება.
„პსპ“ მუდმივად ზრუნავს საკუთარი თანამშრომლების განვითარებაზე. კომპანია ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული და სხვადასხვა ინსტრუმენტებით ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტებს. პსპ აკადემია კვლავ აქტიურად განაგრძობს აღნიშნულ პროცესს. ასევე დაწყებულია Leadership მიმართულებით მენეჯერების განვითარება.
- ERP-ს დანერგვა;
კომპანია მომხმარებლისთვის საჭირო მედიკამენტების უწყვეტ რეჟიმში მიწოდების უზრუნველსაყოფად, მუდმივად ხვეწს არსებულ პროცესებს, მუშაობს მათ გაუმჯობესებაზე და პროგრამული უზრუნველყოფის ოპტიმიზაციაზე. 2022 წელს დაიწყო ERP-ის ეტაპობრივი დანერგვა, რასაც წინ უძღოდა ხანგრძლივი და შრომატევადი მოსამზადებელი სამუშაოები. საწყობის მოდული WMS უკვე დაინერგა, ხოლო 2023 წლიდან დაგეგმილი და დროში გაწერილია ახალი მოდულების დანერგვა.

³ ეისითი, 2022

გრძელვადიან პერსპექტივაში „პსპ“ აღნიშნული მიმართულებების განვითარებას კვლავ განაგრძობს. გარდა ამისა, კომპანია რეფორმებს განახორციელებს სხვადასხვა მიმართულებით, რომელიც მენეჯერული პროცესების და ადამიანური რესურსების მართვაზე იქნება ორიენტირებული. პსპ-ს ახალი მიდგომა არის - „ადამიანური კაპიტალის“ გაზრდა - თანამშრომლებზე ზრუნვა, მათი მუდმივი წინსვლა და განვითარება.

„ნიუ ჰოსპიტალის“ განვითარების გეგმები

„ნიუ ჰოსპიტალის“ ორიენტირებულია მომხმარებლის მოთხოვნებზე. მის მთავარ მიზანს წარმოადგენს უპირატესი სამედიცინო კომპეტენციით და პაციენტებთან სიახლოვეთ შეინარჩუნოს საქართველოში საუკეთესო საავადმყოფოს სტატუსი და ხელი შეუწყოს ქვეყანაში ინოვაციური ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შექმნას.

კომპანიას შემუშავებული აქვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია.

მოკლევადიანი გეგმები

- ✚ ახალი სერვისებისა და მიმართულებების ჩამოყალიბება

2022 წელს რუტინულად სრულდება კარდიოქირურგიული და არითმოლოგიური ჩარევები, მაღალი დატვირთვით ფუნქციონირებს ძვლის ტვინის გადანერგვის ცენტრი, ორთოპედია - ტრავმატოლოგიის დეპარტამენტი, ოფთალმოლოგიის ეროვნული ცენტრი, ინტერვენციული რადიოლოგიის განყოფილება და სხვა.

2022 წელს რადიოლოგიურ დეპარტამენტში დამატებით 3T სიმძლავრის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფი იქნა შეძენილი.

- ✚ ხარისხის კონტროლის მექანიზმის ამოქმედება და განვითარება:

სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შექმნისა და საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დანერგვისთვის კლინიკაში ფუნქციონირებს ხარისხის სამსახური. შეიქმნა და დაინერგა რისკებისა და ზიანის შემცირების მექანიზმები და პროცედურები.

გრძელვადიანი გეგმები

გრძელვადიან პერსპექტივაში კომპანია მიზნად ისახავს რიგი სტრატეგიული გეგმების განხორციელებას:

- ✚ კლინიკის დიფერენციაცია კონკურენტებთან მიმართებაში

კლინიკა მიზნად ისახავს სამედიცინო ხარისხის გაუმჯობესებას და სიკვდილიანობისა და ავადობის მაჩვენებლების ევროპულ მახასიათებლებამდე მიყვანას. ასევე, დაგეგმილია განსაკუთრებული ინფრასტრუქტურის მქონე ევროპული ხარისხის კლინიკის იმიჯის ჩამოყალიბება და გაძლიერება.

- ✚ პაციენტების ნაკადების ზრდა, როგორც ადგილობრივად, ასევე მეზობელი ქვეყნებიდან:

კომპანიის მარკეტინგის სამსახური აქტიურად მუშაობს მოსახლეობაში ჰოსპიტალზე ცნობადობის ამაღლებაზე. ამასთანავე, კოვიდის პანდემიის მიღვესთან ერთდ დაგეგმილია სამედიცინო ტურიზმის და მოგზაურთა მედიცინის მიმართულების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს მეზობელი ქვეყნებიდან პაციენტების ნაკადების ზრდას.


- ✚ სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და პაციენტის კმაყოფილების უზრუნველყოფა

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის, კომპანია მიზნად ისახავს რიგი ღონისძიებების ჩატარებას, მათ შორის დაგეგმილია დამატებითი კვალიფიციური კადრების მოწვევა და სამედიცინო ადჟუტანობაში ინვესტირება. შეძენილია ულტრათანამედროვე აპარატურა როგორცაა, ახალი კომპიუტერული ტომოგრაფი, ულტრაბგერის აპარატები, სასტერილიზაციო სისტემები, რიგის მართვის სისტემები და სხვა. კომპანია ორიენტირებულია პაციენტის კმაყოფილებაზე მისი კლინიკასთან შეხების, ე.წ. პაციენტის გზის ყველა ეტაპზე. კომპანიაში შეიქმნა და პროგრამების აკრედიტაცია მოახდინა სასწავლო ცენტრმა, რომელიც უზრუნველყოფს უწყვეტი სამედიცინო სწავლების პროცესს ექიმთა და საშუალო სამედიცინო პერსონალისათვის.

2023-2025 წლების მანძილზე „ნიუ ჰოსპიტალის“ გეგმავს ისეთი ახალი მიმართულებების სიმძლავრეების გაზრდას, ბარიატრიული ქირურგია, კარდიოქირურგია, ოფთალმოლოგიის, ქირურგიული სერვისები, ონკოლოგია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ნიუ ჰოსპიტალის“-ს მთავარ, გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს უპირობო ლიდერის პოზიციის დამკვიდრება, რაც გულისხმობს განსაკუთრებული ინფრასტრუქტურის მქონე, ევროპული ხარისხის კლინიკის იმიჯის ჩამოყალიბებას და შესაბამისი სერვისის შეთავაზებას პაციენტისათვის.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები




საოპერაციო მოგების მარჟა – საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი/ამონაგები. ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ მოგებას.

მოგება დაბეგვრამდე - მოგება დაბეგვრამდე/ამონაგები. ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს შემოსავლის რა ნაწილი რჩება მოგებად მოგების გადასახადის გადახდამდე.

წმინდა მოგების მარჟა - წმინდა მოგება/ამონაგები. ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს შემოსავლის რა წილი რჩება ჯგუფს.

2021 წელს კონსოლიდირებული საოპერაციო მოგების მარჟა იყო 7.17%, მოგება დაბეგვრამდე 8.30%, ხოლო წმინდა მოგების მარჟა 8.30%. 2022 წელს საოპერაციო მოგების მარჟა იყო 4.11%, ხოლო მოგება დაბეგვრამდე და წმინდა მოგება შემცირდა 6.90%-მდე.



შპს „პსპ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს


სამუშაო კაპიტალი = მოკლევადიანი აქტივები - მოკლევადიანი ვალდებულებები.

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი = ფული და ფულის ექვივალენტები/მიმდინარე ვალდებულებები. ეს ინდიკატორი აჩვენებს რამდენად შეუძლია კომპანიას მიმდინარე ვალდებულებების გასტუმრება ფულით და მიაწოდოს კომპანიის ლიკვიდურობაზე.

მიმდინარე კოდეფიციენტი = მოკლევადიანი აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები. ეს ინდიკატორი მიუთითებს თუ რამდენად მზად არის კომპანია არსებული მიმდინარე რესურსებით დაფაროს არსებული მიმდინარე ვალდებულებები.

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი = (მოკლევადიანი აქტივები - მარაგები)/ მოკლევადიანი ვალდებულებები. ეს კოეფიციენტიც არის ლიკვიდურობის მაჩვენებელი, რომელიც არ ითვალისწინებს მარაგებს, რადგან მარაგები მიმდინარე აქტივებში ყველაზე არალიკვიდური აქტივია.

ამ კოეფიციენტებიდან ვხედავთ, რომ სამუშაო კაპიტალი მერყეობს 90 მლნ-დან 131-მლნ მდე, რომელიც პირდაპირ აისახება მიმდინარე და სწრაფ ლიკვიდობის კოეფიციენტებზე და ასახავს კომპანიის ლიკვიდურობას მიმდინარე ვალდებულებების დაფარვასთან მიმართებაში. „პსპ“-ს კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით, მიმდინარე აქტივები დაახლოებით 1.5 -ჯერ აღემატება მოკლევადიან ვალდებულებებს 2022 წლის მდგომარეობით.



მთლიანი ვალდებულებების მთლიან კაპიტალთან შეფარდება არის კომპანიის ფინანსური რისკიანობის ძირითადი ინდიკატორი, რომელიც აჩვენებს რამდენად რისიკიანი სტრუქტურა აქვს კომპანიის აქტივების დაფინანსების წყაროს. შეფარდებაში, მთლიან ვალდებულებებში, არ არის გათვალისწინებული საიჯარო ვალდებულებების ნაწილი.

2020 წელს კონსოლიდირებული ვალდებულებების კაპიტალთან შეფარდება იყო 70%, ხოლო 2021-ში კაპიტალის გაზრდის შედეგად ეს კოეფიციენტი შემცირდა 60%-მდე. 2022 წელს აღნიშნულმა კოეფიციენტმა 77%-ს შეადგინა.

სოციალური პასუხისმგებლობა

„პსპ“-ს მთავარ ფასეულობას წარმოადგენს ხარისხი და მომხმარებლებზე ორიენტირებულობა. კომპანიის გრძელვადიანი წარმატების გარანტს წარმოადგენს მისი პასუხისმგებლობა, როგორც მომხმარებლების, ასევე კომპანიის პერსონალის მიმართ.

„პსპ“ თანამშრომლებს სთავაზობს სტაბილურ სამუშაო პირობებს და კარიერული განვითარების შესაძლებლობებს, მოქმედებს შრომის კოდექსის ნორმების შესაბამისად, იცავს დასაქმებულთა უფლებებს და უსაფრთხოების ნორმებს. მაღალია პერსონალის ჩართულობა კომპანიის ბიზნეს პროცესებში, რაც ხელს უწყობს მოტივაციისა და ეფექტურობის ამაღლებას.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას ჯანსაღი ცხოვრების წესი წარმოადგენს, რითიც ცდილობს ჯანმრთელობაზე ზრუნვის მაგალითი მისცეს საზოგადოებას. „პსპ“-ს ჰყავს საფეხბურთო კლუბი, რომელიც ბიზნეს ლიგის ჩემპიონია. კომპანიის ფინანსური მხარდაჭერით თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა მართაონში, რომლის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა.

„პსპ“ მუდმივად ეწევა სხვადასხვა საქველმოქმედო საქმიანობას, სპონსორობას და ფარმაცევტული პროდუქტების უსასყიდლო გადაცემას როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირებზე და ფონდებზე. 2022 წლის მანძილზე კომპანიის საქველმოქმედო ბიუჯეტმა 170 000 ლარი შეადგინა.

„ნიუ ჰოსპიტალის“ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს სამედიცინო ხარისხი, უსაფრთხოება და გრძელვადიანი პარტნიორობა. კომპანია გრძელვადიანი წარმატების გარანტად მოიაზრებს ორგანიზაციის პასუხისმგებლობას, როგორც სამედიცინო საქმიანობაში, ასევე, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებში.

კომპანია ორიენტირებულია კლინიკებში უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის დანერგვაზე. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხდება მულტი-დისციპლინარული ჯგუფების ფორმირება და იმპლემენტაცია, სამედიცინო პერსონალის სასწავლებლად გაგზავნა, კლინიკაში სასწავლო-სამეცნიერო პროცესების დანერგვა ყოველთვიური შიდა სამეცნიერო კონფერენციების სახით. კომპანია ასევე მართავს ერთობლივ სწავლებებსა და სემინარებს ევროპელ და ამერიკელ კოლეგებთან ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად.

კომპანია თანამშრომლებს სთავაზობს სტაბილურ სამუშაო პირობებს და კარიერული ზრდის შესაძლებლობებს, მოქმედებს შრომის კოდექსის ნორმების შესაბამისად, იცავს დასაქმებულთა უფლებებს და უსაფრთხოების ნორმებს.

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჰოსპიტალში დანერგილია ვენტილაციის, გათბობა-გაგრილების, სტერილური ჰაერის ნაკადების კონტროლის, ტემპერატურის, სამედიცინო გამოხდილი წყლისა და სამედიცინო ჟანგბადის წარმოების, პაციენტების უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ევროპული სტანდარტების სრულიად ავტომატიზებული სისტემები. ასევე, ფუნქციონირებს დაბინძურების რისკის სისტემური შეფასების მექანიზმი;

✚ არსებული დაბინძურების წყაროების და სამედიცინო ნარჩენების ადეკვატური უტილიზაციის სისტემა;

✚ სახანძრო და საგანგებო სიტუაციების უსაფრთხოების სისტემა.

კომპანია ორიენტირებულია მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე. ამისათვის, ყველა განყოფილებაში ინერგება ხარისხის მუდმივი მონიტორინგის სისტემა. ამასთანავე, დიდი ყურადღება ექცევა ჰიგიენასა და ეპიდზედამხედველობას, რაც ჰოსპიტალური ინფექციების გავრცელების პრევენციის საწინდარია.

დამოუკიდებელი სამსახურის მიერ ხდება უსაფრთხოებისა და ჰიგიენის სტანდარტების შემუშავება და ამ სტანდარტების შესრულების მუდმივი მონიტორინგი. სამსახურის მიზანია პოტენციურად სახიფათო პროცედურების გამოვლენა და ზიანის შემცირება/არიდება. ამ მიმართულებით მუშაობის ანგარიშები მუდმივად მიეწოდება ადმინისტრაციას დროული რეაგირებისთვის.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2022 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კანონთან შესაბამისობა

„პსპ“ ოპერირებს ჯანდაცვის სფეროში და ეხება რეგულაციები.

საქართველოს ბაზარი არის განვითარებადი, კანონმდებლობაც პერიოდულად იცვლება და ეს მომავალშიც შესაძლებელია შეეხოს კომპანიის საქმიანობას.

ეფექტი

ცალკეულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს ხარჯების ზრდა.

რისკის შემცირება

კომპანია უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს ყველა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგს. იურიდიული და ფინანსური დეპარტამენტები კონსულტანტებთან ერთად უწყვენ მონიტორინგს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებს და მასთან შესაბამისობას აკონტროლებენ.

კადრების გადინება

კომპანიისთვის მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური კადრები. წარმატება დიდწილად დამოკიდებულია კვალიფიციურ პერსონალზე, მათი უნარების ამაღლებაზე და გრძელვადიან თანამშრომლობაზე. აღსანიშნავია ფარმაცევტების დეფიციტი ბაზარზე და გადინების მაღალი მაჩვენებელი სხვა დარგებში. ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლები ვერ უზრუნველყოფენ შესაბამისი რაოდენობის ახალი კადრების მომზადებას.

ეფექტი

კვალიფიციური კადრების ნაკლებობა უარყოფითად იმოქმედებს საოპერაციო საქმიანობასა და ფინანსურ შედეგებზე.

რისკის შემცირება

„პსპ“-ს მიზანია, იყოს საუკეთესო დამქირავებელი თანამშრომლებისთვის. კომპანია თანამშრომლობს დიდი გამოცდილების მქონე საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიასთან აღნიშნული რისკის შესამცირებლად.

„პსპ“-ში მუშაობს ტრენინგცენტრი, რომელიც საჭიროებების მიხედვით სხვადასხვა მიმართულებით ამზადებს თანამშრომლებს. კომპანია მუდმივად ავითარებს სამოტივაციო სისტემებს კადრების მოტივირებისა და მათთან გრძელვადიანი თანამშრომლობისათვის.

სავალუტო და მაკროეკონომიკური

პრეპარატების შესყიდვების დიდი პროპორცია ნომინირებულია დოლარსა და ევროში. შესაბამისად, კომპანია არის სავალუტო რისკის წინაშე.

მაკროეკონომიკურმა ფაქტორებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, შემცირდეს მშპ ან მნიშვნელოვნად გაიზარდოს ინფლაციის დონე.

ეფექტი

დოლარსა და ევროსთან მიმართებაში ლარის გაუფასურება უარყოფითად იმოქმედებს ორგანიზაციის შემოსავლებზე/ხარჯებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად სახსრებზე.

რისკის შემცირება

ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 4).

საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

შპს „პაპ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

რისკის შეფასება

„პაპ“-ს საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 4).

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.


ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში (შენიშვნა 4).

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.


2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 2 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



ვ. ოქრიაშვილი

ფინანსური დირექტორი



მ. ბოჭორაძე

შპს „პსპ ფარმა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

რისკის შემცირება

„პსპ“-ს საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 4).

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში (შენიშვნა 4).

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 2 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ვ. ოქრიაშვილი

ფინანსური დირექტორი

მ. ბოჭორაძე